



პრესრელიზი

26.06.2015

„ინოვაციური მოქმედება გენდერული თანასწორობისათვის“ - პროექტის შედეგების პრეზენტაცია

26 ივნისს, 12:00 საათზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში (მისამართი: თბილისი, გუდიაშვილის #7) ა/ო სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი პროექტის „ინოვაციური მოქმედება გენდერული თანასწორობისათვის“ ანგარიშისა და შედეგების პრეზენტაციას გამართავს.

პროექტი განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და მისი მიზანი იყო არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა გაძლიერება და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა მათი პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პროცესში ჩართვის გზით.

ღონისძიებაზე ორგანიზაციის წარმომადგენლები ისაუბრებენ თუ რა სიტუაციაა საქართველოში გენდერული თანასწორობის კუთხით და შეაფასებენ განათლების პოლიტიკას გენდერული პერსპექტივიდან. ღონისძიებაზე ასევე გაიმართება პოლიტიკის დოკუმენტის პრეზენტაცია, რომელიც პროექტის ფარგლებში ორგანიზაციამ გამოსცა.

პრეზენტაციას დაესწრებიან გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, გენდერის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები და ექსპერტები.

მომხსენებლების გამოსვლის შემდეგ, ღონისძიება კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდება და დისკუსიით დასრულდება.

კონტაქტი: ქეთევან ჯაჭვამე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
"სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი" CCIIR
k.jachvadze@cciiir.ge
595 511 050

11:30	რეგისტრაცია
12:00 – 13:30	<p>თემები & მომხსენებლები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კახა გაბუნია - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ექსპერტი/კონსულტანტი <i>სქესობრივი თანასწორობა საქართველოში - სიტუაციური ანალიზი და ზოგადი სტატისტიკა</i> • ნათია გორგაძე - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის პროგრამების მენეჯერი <i>განათლების პოლიტიკა გენდერული პერსპექტივიდან</i> • შალვა ტაბატაძე - „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ ხელმძღვანელი <i>პოლიტიკის დოკუმენტი - ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესალებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისათვის</i>
13:30 - 14:00	<u>კითხვა/პასუხი, დისკუსია, დასვენა</u>
14:00	ყავა/ჩაი